

შპს ფასტფეი

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2024 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის

შპს ფასტფეი

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-4
ფინანსური ანგარიშგება	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში	5
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში.....	6
კაპიტალის ცვლილების ანგარიში.....	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში.....	8
ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები:	
1. შპს ფასტფეი და მისი საქმიანობა	9
2. სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ არსებითი ინფორმაციის მიმოხილვა	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაზე	18
4. შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ამოქმედება	18
5. ძირითადი საშუალებები	19
6. არამატერიალური აქტივები.....	20
7. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	20
8. საწესდებო კაპიტალი	20
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20
10. მიღებული ავანსები.....	21
11. შემოსავალი.....	21
12. პირდაპირი ხარჯები	21
13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	21
14. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები	22
15. ფინანსური რისკების მართვა.....	23
16. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან.....	25
17. შემდგომი მოვლენები.....	26

შპს ფასტფეი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ფასტფეი“-ს („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიკური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 26 თებერვალს.

მარიტა კაჭახიძე
დირექტორი

2025 წლის 26 თებერვალი
საქართველო, თბილისი

მერი საკანდელიძე
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 26 თებერვალი
საქართველო, თბილისი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს ფასტფეი-ს მფლობელებსა და დირექტორებს:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ფასტფეი-ს (კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ არსებითი ინფორმაციის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ამ ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან, ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმუნებულება, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით ან/და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, გავცეთ ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი აუდიტორული დასკვნა. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის. რისკი იმისა, რომ ვერ აღმოვაჩინოთ თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა მეტია, ვიდრე ალბათობა იმისა, რომ ვერ შევამჩნიოთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით.
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას.
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას.

ვაკეთებთ დასკვნას იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება. იმავდროულად, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს, თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.

-
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარსს განმარტებების ჩათვლით და იმას, თუ რამდენად ობიექტურად წარმოადგენს ანგარიშგება ძირითად მოვლენებსა და ტრანზაქციებს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

შპს მართვის საკონსულტაციო ჯგუფი

ვლადიმერ ჩიტაია

2025 წლის 26 თებერვალი
თბილისი, საქართველო

შპს ფასტფეი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	187,070	273,557
არამატერიალური აქტივები	6	50,093	59,931
სულ გრძელვადიანი აქტივები		237,163	333,488
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		1,081	1,403
მოძრავი საშუალებები		5,898	4,746
წინასწარ გადახდილი გადასახადები		8,942	7,683
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	4,572,084	5,834,212
სულ მიმდინარე აქტივები		4,588,005	5,848,044
სულ აქტივები		4,825,168	6,181,532
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8	130,836	130,836
გაუნაწილებელი მოგება		489,030	533,745
სულ კაპიტალი		619,866	664,581
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	408,104	685,796
მიღებული ავანსები	10	3,797,198	4,831,155
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,205,302	5,516,951
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,825,168	6,181,532

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 26 თებერვალს.

მარიტა კაჭახიძე
დირექტორი

2025 წლის 26 თებერვალი
საქართველო, თბილისი

მერი საკანდელიძე
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 26 თებერვალი
საქართველო, თბილისი

9-26 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ფასტფეი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	11	4,343,579	4,080,289
პირდაპირი ხარჯები	12	(2,659,802)	(2,684,383)
მთლიანი მოგება		1,683,777	1,395,906
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(670,309)	(684,289)
საპროცენტო შემოსავალი		325,295	181,319
სხვა არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა		(57,625)	(2,648)
მოგება მოგების გადასახადამდე		1,281,138	890,288
მოგების გადასახადის ხარჯი		(144,682)	(85,438)
წლიური მოგება		1,136,456	804,850
წლიური სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული მოგება		1,136,456	804,850

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 26 თებერვალს.

მარიტა კაჭახიძე
დირექტორი

2025 წლის 26 თებერვალი
საქართველო, თბილისი

მერი საკანდელიძე
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 26 თებერვალი
საქართველო, თბილისი

9-26 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ფასტფეი

კაპიტალის ცვლილების ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ბალანსი 1 იანვარი 2023	130,836	328,955	459,791
სულ წლის სრული შემოსავალი	-	804,850	804,850
გადახდილი დივიდენდი	-	(600,060)	(600,060)
ბალანსი 31 დეკემბერი 2023	130,836	533,745	664,581
სულ წლის სრული შემოსავალი	-	1,136,456	1,136,456
გადახდილი დივიდენდი	-	(1,181,171)	(1,181,171)
ბალანსი 31 დეკემბერი 2024	130,836	489,030	619,866

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 26 თებერვალს.

მარიტა კაჭახიძე
დირექტორი

2025 წლის 26 თებერვალი
საქართველო, თბილისი

მერი საკანდელიძე
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 26 თებერვალი
საქართველო, თბილისი

9-26 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ფასტფეი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მოგების გადასახადებამდე		1,136,456	804,850
შემდეგი პუნქტებით გამოწვეული კორექტირებები:			
მოგების გადასახადის ხარჯი		144,682	85,438
ცვეთა და ამორტიზაცია	5, 6	86,804	93,471
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ზარალი		10,587	4,705
საპროცენტო შემოსავალი		(325,295)	(181,319)
ფულადი სახსრები გამომუშავებული საოპერაციო საქმიანობაში საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		1,053,234	807,145
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		(2,089)	18,211
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		(1,311,649)	1,790,887
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		(260,504)	2,616,243
მიღებული პროცენტი		325,295	181,319
გადახდილი მოგების გადასახადი		(144,682)	(85,439)
წმინდა ფულადი სახსრები (გამოყენებული)/გამომუშავებული საოპერაციო საქმიანობიდან		(79,891)	2,712,123
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები		650	1,570
ძირითადი საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები		(1,066)	(45,571)
არამატერიალური აქტივების შეძენაზე გადახდილი თანხები		(650)	(602)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(1,066)	(44,603)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
დივიდენდის გადახდა		(1,181,171)	(600,060)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(1,181,171)	(600,060)
წმინდა (შემცირება)/ზრდა ფულსა და ფულად ეკვივალენტებში		(1,262,128)	2,067,460
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	7	5,834,212	3,766,753
სავალუტო კურსის ცვლილებების ზეგავლენა ფულზე და ფულად ეკვივალენტებზე		-	(1)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	7	4,572,084	5,834,212

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 26 თებერვალს.

მარიტა კაჭახიძე
დირექტორი

2025 წლის 26 თებერვალი
საქართველო, თბილისი

მერი საკანდელიძე
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 26 თებერვალი
საქართველო, თბილისი

9-26 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ფასტფეი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

1. შპს ფასტფეი და მისი საქმიანობა

შპს ფასტფეი დაფუძნებულია 2018 წლის 29 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია საქმიანობს საქართველოს ტერიტორიაზე. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტრონული საფულე, რის დახმარებითაც მომხარებელს რეგისტრაციის შემდეგ ეძლევა საშუალება განახორციელოს ფულადი ოპერაციები ელექტრონულად: შეიტანოს ფული ანგარიშზე, განახორციელოს სხვადასხვა ტიპის ტრანზაქციები, გადაიხადოს კომუნალური გადასახადები და სხვა.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო მფლობელები იყვნენ ლაშა ბანძელაძე 33.33%-იანი წილით, ალექსანდრე ღვინეფაძე 33.33%-იანი წილით და დანიელ რატიანი 33.34%-იანი წილით, შესაბამისად.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, პ. ქავთარაძის ქ. N 25 კორ. 4 ბ. 63.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო.

ანგარიშგების ვალუტა. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

დასაქმებულთა რაოდენობა. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიაში დასაქმებული იყო 59 და 61 თანამშრომელი, შესაბამისად.

2024 და 2023 წლების განმავლობაში კომპანიაში დასაქმებული იყო საშუალოდ 58 და 61 თანამშრომელი შესაბამისად.

2. სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ არსებითი ინფორმაციის მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები. წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ზასს”) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (“ფაისკ”) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

უწყვეტი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, რომელიც, ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში, ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებათა დაფარვას. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, აგრეთვე გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული სიტუაციის ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი ტერმინები. მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან რომელიც გადახდილია ვალდებულების დასაფარად გაანგარიშების დღეს მოქმედი ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ კანონიერ კომერციულ გარიგებაში იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ფასზე პირდაპირ დაკვირვება, თუ იგი შეფასების სხვა ტექნიკით ფასდება. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გაანგარიშებისას, გაზომვის დღეს აქტივის ან ვალდებულების შეფასების პროცესში კომპანია ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ მათ ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა მოქმედ ბაზარზე არსებული ფასი. მოქმედი ბაზარი ისეთი ბაზარია, რომელზეც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული გარიგებები იმ სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება, რომლებიც საკმარისია ფასის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი წესით მისაღებად.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა პირველი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- პირველი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კვოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება პირველ დონეში მოცემული კვოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადი მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ითვლება, რომ ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კვოტირდება, თუ კვოტირებული ფასები რეგულარულად და პირდაპირ ხელმისაწვდომია ბირჟიდან თუ სხვა დაწესებულებიდან და თუ ეს ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად ჩატარებულ, პატიოსანი გარიგების ტრანზაქციებს.

იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით, რომელთან დაკავშირებითაც არ მოიპოვება ინფორმაცია გარე საბაზრო ფასის შესახებ, გამოიყენება ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელი ან ბოლოდროინდელი კომერციული გარიგებების მოდელი ან ინვესტირებული საწარმოების ფინანსური მონაცემების განხილვა. შეფასების ტექნიკის გამოყენება შეიძლება გულისხმობდეს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ისეთი დაშვებების გაკეთებას, რომლებიც დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით არ არის გამაგრებული, თუ ამ რომელიმე დაშვების გონივრულად შესაძლო ალტერნატივით შეცვლა გამოიწვევდა მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებსა და ვალდებულებებს.

ტრანზაქციის ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. საოპერაციო ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს და გასხვისების გადასახადებს და მოსაკრებლებს. საოპერაციო ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან დისკაუნტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწრა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი დაფარვის თანხის პრემიის ან დისკაუნტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, აღიარებისას გადავადებული საკომისიოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამისი პერიოდში განაწილების მეთოდი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო გაცემულ ან მიღებულ ფულად ნაკადებს (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო დადგენის დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ერთი პირის ფინანსურ აქტივს და სხვა პირის ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი მიეკუთვნება სესხებისა და დებიტორული დავალიანებების კატეგორიას. სესხები და დებიტორული დავალიანებები წარმოადგენს ფიქსირებული ან არაფიქსირებული დაფარვების მქონე არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს გარდა იმ აქტივებისა, რომელთა რეალიზაციასაც კომპანია ახლო მომავალში აპირებს. გარდა ამისა, კომპანიამ ახლად შესყიდულ ფინანსურ აქტივებს თავდაპირველი აღიარებისას შეიძლება მიანიჭოს „გასაყიდად განკუთვნილის“, „დაფარვის ვადამდე ფლობილის“ ან „მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულის“ კვალიფიკაცია იმის მიხედვით, თუ როგორია ამ ინსტრუმენტების ბუნება ან მენეჯმენტის განზრახვები მასთან მიმართებაში.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (1) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (2) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, მაგრამ კონტროლი არ შეუწარმოებია.

კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა იმისა, რომ სრულად გაყიდოს აქტივი არადაკავშირებულ მესამე პირზე ამ გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც სხვა ფინანსური ვალდებულება და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება. კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

ფუნქციონალური ვალუტა. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს კომპანია ახორციელებს საქმიანობას („ფუნქციონალური ვალუტა“). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც თავდაპირველ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და, სადაც საჭიროა, გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების თავიდან მოშორება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება თუკი ხარჯებიდან წარმოიშვება მომავალი ეკონომიკური სარგებელი. შეკეთება-შენარჩუნების უმნიშვნელო ღირებულება აღიარდება ხარჯებში განხორციელების დროს.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს არის თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, მენეჯმენტი ახდენს აღდგენითი ღირებულების შეფასებას, რომელიც განსაზღვრულია როგორც აქტივის სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და გამოყენების ღირებულებას შორის უფრო მაღალი. საბალანსო ღირებულება აღდგენად ღირებულებამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინა წლებში აქტივზე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს შეფასების ცვლილებას აქტივის გამოყენებადი ღირებულების ან სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობის გაანგარიშებაში.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განსაზღვრულია საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებასა და სხვა სრულ შემოსავლებში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯების ფარგლებში.

მიწაზე და დაუმთავრებელ მშენებლობაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება. ძირითადი საშუალებების სხვა ნივთებზე ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით:

სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში	
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	6-7

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს ღირებულებას, რომელსაც კომპანია მიიღებს აქტივის რეალიზაციიდან გამოკლებული გაყიდვისთვის საჭირო ხარჯები, იმ შემთხვევაში თუკი აქტივი იქნება მისი სასიცოცხლო ვადის ამოწურვის პერიოდში. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასიცოცხლო ვადა საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და კორექტირდება.

არამატერიალური აქტივები. არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურეობის ვადაა 7 წელი.

ფინანსური იჯარა. საოპერაციო იჯარის გადახდები იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად აღიარდება ხარჯებში, მასთან დაკავშირებული რემონტის ხარჯები, რომელიც აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს კაპიტალიზდება „იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის“ ანგარიშზე და ერიცხება ცვეთა ხელშეკრულების მოქმედების ვადის მიხედვით. თუ ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, გაწეული რემონტის ხარჯს აკლდება დაგროვილი ცვეთა და ნარჩენი ღირებულება ჩაითვლება მომსახურების გაწევად, დაიბეგრება დღგ-ის გადასახადით და ამონაგები აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, თუ იჯარის ხელშეკრულება შეწყდება ხელშეკრულების ვადის

გასვლის გამო, რემონტის დანახარჯები აღიარდება ხარჯად და მოხდება მისი სრულად ასახვა მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებულია ასევე აღიარებულ ტრანზაქციებთან, იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან რომლის დაბრუნება მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებიდან დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის ანგარიშში.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (2017 წლამდე მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიცემოდა). აღნიშნულ ცვლილებას მყისიერი ეფექტი ჰქონდა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ნაშთებზე, რომლებიც წინა პერიოდებში აღიარებული დროებითი სხვაობებით იყო გამოწვეული. დაარსებიდან კომპანიას გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ უღიარებია.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან საქონლისა და მომსახურების უფასოდ მიწოდებას. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა ბასს 12 “მოგების გადასახადებით” არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღირიცხება ისევე, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ტრანზაქციის განხორციელების მომენტში; მოგების გადასახადის ანაზღაურება აქტივებად აღიარდება მაშინ, როდესაც ანაზღაურება ფაქტობრივად გარდაუვალია.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება.

ამორტიზირებულ ღირებულებებზე განხორციელებული ფინანსური აქტივების გაუფასურება. გაუფასურების დანაკარგების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წარმოქმნისას ერთი ან მეტი შემთხვევების შედეგად (დანაკარგის შემთხვევები), რომლებიც განხორციელდა ფინანსური აქტივის საწყისი აღიარებისას და რომლებსაც აქვთ გავლენა თანხაზე ან ფინანსური აქტივის დადგენილი სამომავლო ფულადი სახსრების ბრუნვის დროის განსაზღვრა ან ფინანსური აქტივების კომპანია, რომელიც შესაძლებელია საიმედოდ შეფასდეს, თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ

არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ გაუფასურება წარმოიქმნა ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივისათვის, მიუხედავად იმისა, მნიშვნელოვანია თუ არა ის და რომ ის მოიცავს აქტივს კომპანიაში მგავსი ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მახასიათებლებით და ერთობლივად აფასებს მათ გაუფასურებისთვის. საწყისი ფაქტორები იმისა, რომ კომპანია მიიჩნევს განსაზღვრაში არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული მისი გადავადებული სტატუსი და რეალიზება საკუთრების ბანკში ჩადებული უზრუნველყოფისა ასეთის არსებობის შემთხვევაში. სხვა შემდეგი ძირითადი კრიტერიუმი გამოიყენება ასევე იმის გადასაწყვეტად არის თუ არა ობიექტური მტკიცებულება რომ წარმოიქმნა გაუფასურების დანაკარგი:

- შესატანი დაგვიანებულია და დაგვიანებული გადახდა არ არის დაკავშირებული ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეულ დაგვიანებასთან;
- მსესხებელი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, რაც დასტურდება მსესხებელის ფინანსური მდგომარეობის შესახებ კომპანიის მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან;
- მსესხებელი განიხილავს გაკოტრებას ან ფინანსურ რეორგანიზაციას;
- არსებობს უარყოფითი ცვლილება მსესხებლის გადახდის სტატუსში ზოგადად მთელი ქვეყნის თუ ადგილობრივი ეკონომიკური პირობების შედეგად, რომლებიც გავლენას ახდენენ მსესხებელზე; ან
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის გაუარესებული მდგომარეობის შედეგად.

თუ ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები გადაიხედება ან სხვაგვარად შეიცვლება კონტრაგენტის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება იანგარიშება პირობების შეცვლამდე გამოყენებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების ზარალის აღიარება ყოველთვის ხორციელდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომლებშიც არ შედის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები, რომლებიც არ დამდგარა) მიმდინარე ღირებულებაზე ჩამოწერით, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის საანგარიშო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება ასახავს დასაკუთრებიდან მიღებულ ფულად ნაკადებს, რომლიდანაც გამოქვითულია უზრუნველყოფის მიღებისა და გაყიდვის ხარჯები მიუხედავად იმისა, დასაკუთრება მოსალოდნელია თუ არა.

თუ რომელიმე მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და შემცირება ობიექტურად დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, რომელიც მოხდა გაუფასურების აღიარების შემდეგ (როგორიცაა გაუმჯობესება დებიტორის საკრედიტო რეიტინგში), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუქმდება რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, მოცემული წლის მოგების ან ზარალის საფუძველზე.

მიუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი თანხების შემდგომში ამოღებული ნაწილი მიუკუთვნება მოგება-ზარალის უწყისში გაუფასურების ზარალის ანგარიშს.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის მოსალოდნელი ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი

აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესამენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალილიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულის ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

განკარგვის უფლებით შეზღუდული ფულადი ნაშთები ბანკის დეპოზიტის ჩათვლით ამოღებულია „ფული და ფულის ეკვივალენტებიდან“ ფულადი სახსრების ანგარიშგებისთვის. ნაშთები, რომლებიც აკრძალულია გაცვლისათვის ან გამოიყენება ვალდებულების დასაფარად სულ მცირე ანგარიშგების პერიოდის თორმეტი თვის შემდეგ წარმოდგენილია შეზღუდულ დეპოზიტებში ფინანსური პოზიციის ანგარიშგებაში.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის აღიარებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

დივიდენდები. დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი დავალიანებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

უცხოურ ვალუტაში გადანაგარიშება. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით. რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი პუნქტების, მათ შორის,

შპს ფასტფი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

სააქციო ინვესტიციების, გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი/1 ევრო	2.9406	2.9753

ამჟამად ქართული ლარი არ არის ადვილად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

შემოსავლის აღიარება. კომპანია წარმოადგენს „საგადახადო სისტემის და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, რომელსაც საგადახადო მომსახურებას უწევს მომხმარებელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგადახდო მომსახურება.

შემოსავლის აღიარება ხდება მას შემდეგ, რაც კომპანია დააკმაყოფილებს შემსრულებლის ვალდებულებას დაპირებული მოსახურების კლიენტისთვის გადაცემის შესახებ. შესრულების ვალდებულების დასრულების შემდეგ, კომპანია საოპერაციო ღირებულების თანხას აღიარებს შემოსავლად. შემოსავალი ფასდება იმ ანაზღაურების ოდენობით რომელიც განსაზღვრულია მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების კონტროლის გადაცემა. საგადახდო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი აქტის საფუძველზე, დარიცხვის მეთოდის მიხედვით, იმ წესების დაცვით რასაც მიგვითითებს საქართველოს საგადასახადო კოდექსი.

საანგარიშო ვალუტისგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ყოველი თვის ბოლო დღეს არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები. ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები და ავადმყოფობის გამო შვებულებები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები დარიცხულია კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევის წელს. კომპანიას არა აქვს რაიმე საპენსიო ან მსგავსი დახმარების გადახდის კანონით გათვალისწინებული თუ კონსტრუქციული ვალდებულება. 2019 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული კომპანიას აქვს კანონით გათვალისწინებული ვალდებულება თანამშრომელთა დარიცხული ხელფასის 2%-ის გადახდის თაობაზე საპენსიო ფონდში.

ჩათვლა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ჩაითვლება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოყენების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებაში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდეგ, საჭიროებს კომპანიის ხელმძღვანელობის დადასტურებას, რომელთა მიერ მოხდა ამ ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად უფლებამოსილების მინიჭება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაზე

კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშება შეფასების საქმეა და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შთანთქმა, ძირითადად, მოხმარების მეშვეობით ხდება. ამასთან, სხვა ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა ხშირად იწვევს ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელოვნად შემცირებას. მენეჯმენტი დარჩენილი სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშებას ახორციელებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია კომპანიის მიერ ამ აქტივებიდან სარგებლის მიღება. მხედველობაში მიიღება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექნოლოგიური განვითარების გეგმაზე; და (გ) საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური და კომერციული მოძველება.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი. კომპანია, კლიენტების გადახდის უუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდიფიცირება.

4. შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ამოქმედება

2024 წელს არ მიუღიათ ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა ექნებოდა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კომპანიას ასევე ჯერ არ გამოუყენებია ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ჯერ არ შესულა ძალაში.

შპს ფასტფი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

5. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა:

	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ღირებულება 1 იანვარი 2023	198,904	143,049	104,206	446,159
შესყიდვა	15,190	18,876	11,505	45,571
რეალიზაცია	(10,222)	(1,966)	-	(12,188)
ღირებულება 31 დეკემბერი 2023	203,872	159,959	115,711	479,542
შესყიდვა	1,066	-	-	1,066
რეალიზაცია	(10,415)	(1,530)	(13,256)	(25,201)
ღირებულება 31 დეკემბერი 2024	194,523	158,429	102,455	455,407
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2023	(73,616)	(34,774)	(20,413)	(128,803)
წლის დარიცხვა	(36,357)	(30,100)	(16,638)	(83,095)
გაყიდულის ცვეთა	4,522	1,391	-	5,913
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2023	(105,451)	(63,483)	(37,051)	(205,985)
წლის დარიცხვა	(32,764)	(27,687)	(15,865)	(76,316)
გაყიდულის ცვეთა	6,437	1017	6,510	13,964
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2024	(131,778)	(90,153)	(46,406)	(268,337)
ნარჩენი ღირებულება				
31 დეკემბერი 2023	98,421	96,476	78,660	273,557
31 დეკემბერი 2024	62,745	68,276	56,049	187,070

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ ფლობს სრულად გაცვეთილ და მოხმარებაში არსებულ აქტივებს.

შპს ფასტფეი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

6. არამატერიალური აქტივები

ქვემოთ წარმოდგენილია არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა:

	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
ღირებულება 1 იანვარი 2023	124,779	124,779
დამატება	602	602
ღირებულება 31 დეკემბერი 2023	125,381	125,381
დამატება	650	650
ღირებულება 31 დეკემბერი 2024	126,031	126,031
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2023	(55,074)	(55,074)
წლის დარიცხვა	(10,376)	(10,376)
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2023	(65,450)	(65,450)
წლის დარიცხვა	(10,488)	(10,488)
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2024	(75,938)	(75,938)
ნარჩენი ღირებულება		
31 დეკემბერი 2023	59,931	59,931
31 დეკემბერი 2024	50,093	50,093

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ეკვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნაღდი ფული სალაროში	1,072,630	1,190,494
ფული ბანკში	3,499,454	4,643,718
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	4,572,084	5,834,212

8. საწესდებო კაპიტალი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო მფლობელები იყვნენ ლაშა ბანძელაძე 33.33%-იანი წილით, ალექსანდრე ღვინფაძე 33.33%-იანი წილით და დანიელ რატანი 33.34%-იანი წილით, შესაბამისად.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	388,564	665,774
გადასახდელი ხელფასები	2,258	2,673
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	17,282	17,349
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	408,104	685,796

შპს ფასტფი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

10. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები წარმოადგენს ელექტრონული საფულის ფარგლებში მიღებულ თანხებს, რომლის საშუალებითაც მომხმარებელი ახორციელებს ფულად ოპერაციებს ელექტრონულად.

11. შემოსავალი

შემოსავალი შედგება შემდეგისგან:

	2024	2023
შემოსავალი მომსახურებიდან	4,239,926	4,017,820
პერსონალიზაციასთან დაკავშირებული შემოსავლები	97,514	56,217
სხვა საოპერაციო შემოსავლები	6,139	6,252
სულ შემოსავალი	4,343,579	4,080,289

12. პირდაპირი ხარჯები

პირდაპირი ხარჯები შედგება შემდეგისგან:

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	1,017,974	889,203
საპროცესინგო ხარჯი	828,824	924,853
საიჯარო ქირა	382,224	420,532
გაცემული ბარათების ხარჯი	77,628	40,756
ბანკის ხარჯი	75,557	87,051
დაცვის ხარჯი	48,846	57,802
სხვა პირდაპირი ხარჯები	228,749	264,186
სულ პირდაპირი ხარჯები	2,659,802	2,684,383

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება შემდეგისგან:

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	282,115	296,487
საკონსულტაციო ხარჯები	115,340	84,711
ცვეთა და ამორტიზაცია	86,804	93,471
კომუნალური და საკომისიო ხარჯები	82,224	90,997
დაზღვევის ხარჯი	30,306	29,801
სამეურნეო ხარჯები	25,560	38,522
საგადასახადო ხარჯი	3,832	2,924
სხვა	44,128	47,376
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	670,309	684,289

14. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანიის მიმართ შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოთხოვნები. ანგარიშგების თარიღისთვის, მენეჯმენტი არ არის საქმის კურსში კომპანიის მიმართ რაიმე მოთხოვნის თაობაზე, რომელსაც შესაძლებელია გავლენა ჰქონდეს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციაზე წვდომა ღიაა სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებული ბაზრების უმეტესობაზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. 2024 და 2023 წლების განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა. საქართველო-ევროკავშირის დაახლოების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმა მოსალოდნელი.

2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი გაძლიერების შემდეგ, რუსმა ჯარებმა გადაკვეთეს უკრაინის საზღვარი. მილიონობით უკრაინელი ტოვებს ქვეყანას და ტოვებს სახლებს. უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ გამოაცხადა მკაცრი ეკონომიკური სანქციები რუსეთზე და მოხდა რუსული რუბლის მნიშვნელოვანი გაუფასურება უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში, ასევე მნიშვნელოვანი ზარალი რუსეთის ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე და სხვა ბაზრებზე არსებული რუსული კომპანიებისთვის. უამრავმა კომპანიამ თავისი ბიზნესი რუსეთიდან და ბელორუსიდან გაიტანა. ეს სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, მაგრამ მას უკვე მოჰყვა ჰუმანიტარული კრიზისი და არსებითი ეკონომიკური ზარალი უკრაინის, რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის.

იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია სარწმუნოდ შეფასდეს სრული გავლენა კომპანიაზე, რადგან არსებობს გაურკვევლობა ზოგადად ეკონომიკაზე გავლენის მასშტაბის შესახებ. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას.

მენეჯმენტს არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს ყველა ის მოვლენა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, თუ რა გავლენას მოახდენენ ისინი

შპს ფასტფი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი თვლის, რომ კომპანიის ბიზნესის მდგრადობის და ხელშეწყობის მიზნით იღებს ყველა საჭირო ზომას.

15. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

საკრედიტო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე კომპანიის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს კომპანიაზე საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში წარმოდგენილ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,081	1,403
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,572,084	5,834,212
სულ საკრედიტო რისკი	4,573,165	5,835,615

საბაზრო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტიან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს მისაღები რისკის მოცულობაზე და ამ მოცულობაზე ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება არ გამოირიცხავს ზარალს ამ ლიმიტების მიღმა ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკების ქვემოთ წარმოდგენილი გავლენა ეფუძნება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას ყველა სხვა ფაქტორის უცვლელობის პირობებში. პრაქტიკაში ეს სავარაუდოდ არ მოხდება და ზოგიერთ ფაქტორში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს. ამის მაგალითია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსის ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის არ აქვს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ნაშთები.

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

როგორც სხვები ამავე ინდუსტრიაში, კომპანია კაპიტალის მონიტორინგს ახორციელებს წმინდა ვალის კაპიტალთან შეფარდებით. წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან სესხებს (მათ შორის "მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში) გამოკლებული ფული და ფულის ეკვივალენტები. მთლიანი კაპიტალი გამოითვლება როგორც "კაპიტალი", როგორც ეს ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში დამატებული წმინდა ვალი. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია სრულად დაფინანსებული იყო კაპიტალით.

საპროცენტო რისკი. კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულგანაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს, რომელიც მას სჭირდება რწმუნებისთვის, რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება მომწოდებლების კრედიტორული დავალიანება, რომელიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად. კომპანიას აქვს განზრახული, რომ მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, კომპანიის უნარის - დაფაროს სხვა არაურთიერთდამოკიდებული კრედიტორების დავალიანება - გაუარესების გარეშე.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ვადიანობის ცხრილში ასახული თანხები არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი ნაკადები. ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული თანხებისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული თანხა ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. უცხოურ ვალუტაში გადახდილი თანხების გადაყვანა ხორციელდება სპოტ კურსით ანგარიშგების პერიოდის ბოლოს.

შპს ფასტფეი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2024 წლის 31 დეკემბერი:

	6 თვემდე	6 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,572,084	-	-	4,572,084
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,081	-	-	1,081
სულ სამომავლო მისაღები თანხები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო თანხები	4,573,165	-	-	4,573,165
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	408,104	-	-	408,104
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-	-
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო გადახდები	408,104	-	-	408,104
ლიკვიდობის დეფიციტი	4,165,061	-	-	4,165,061
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	4,165,061	4,165,061	4,165,061	

2023 წლის 31 დეკემბერი:

	6 თვემდე	6 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	5,834,212	-	-	5,834,212
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,403	-	-	1,403
სულ სამომავლო მისაღები თანხები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო თანხები	5,835,615	-	-	5,835,615
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	685,796	-	-	685,796
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-	-
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი და საპროცენტო გადახდები	685,796	-	-	685,796
ლიკვიდობის დეფიციტი	5,149,819	-	-	5,149,819
ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი	5,149,819	5,149,819	5,149,819	

16. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად ითვლებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. დაკავშირებული მხარის თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ გააჩნდა ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან.

შპს ფასტფეი

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები და ხარჯებისა და შემოსავლების მუხლები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შემდეგია:

	მფლობელები	მთავარი მენეჯმენტი	საერთო მფლობელობის ქვეშ მყოფი კომპანიები
შრომის ანაზღაურება	-	92,921	-
საკონსულტაციო ხარჯები	-	-	3,600

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ გააჩნდა ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან.

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები და ხარჯებისა და შემოსავლების მუხლები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შემდეგია:

	მფლობელები	მთავარი მენეჯმენტი	საერთო მფლობელობის ქვეშ მყოფი კომპანიები
შრომის ანაზღაურება	-	91,088	-
საკონსულტაციო ხარჯები	-	-	3,600

17. შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო წლის შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას, რაც მოითხოვდა კორექტირებას ან განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში, ადგილი არ ჰქონია.

შპს ფასტფეი

მმართველობითი ანგარიშგება და
2024 წლის საქმიანობის მიმოხილვა

თან ერთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის
მოსაზრება

დმოუდიტებელ აუდიტორის მოსაზრება

შპს ფასტფეის მმართველობითი ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს ფასტფეის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს ფასტფეის მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მესამე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს ფასტფეი. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობითი ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობითი ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობითი ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

სფაი ჯორჯია

ვლადიმერ ჩიტაია

მმართველი პარტნიორი

26 თებერვალი 2025 წელი, თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფასტფეი“

მმართველობითი ანგარიშგება

(2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის)

შინაარსი:

1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა	5
2. კომპანიის განვითარების გეგმები.....	6
3. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ	7
4. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	7
5. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.....	8
6. მმართველობა	8
7. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	8
8. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ	8
9. ძირითადი რისკები.....	10

1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ფასტფი“ 2018 წლიდან ფუნქციონირებს და ამ პერიოდის განმავლობაში ძირითად მიზნად მომხმარებლებისთვის მარტივი, სწრაფი და ხელმისაწვდომი მომსახურების მიწოდებას ისახავს. კომპანია წარმოდგენილია 16 სერვის-ცენტრით მთელი ქვეყნის მასშტაბით, სადაც გადახდების განხორციელება შესაძლებელია ნაღდი ფულით, ასევე მომხმარებლებს შეუძლიათ ისარგებლონ კომპანიის პლასტიკური ბარათებით, სამი ბანკის ბანკომატებზე და ორი ბანკის პოს ტერმინალზე.

2024 წელი სავსე იყო გამოწვევებით „ფასტფისთვის“, რადგან ის არის განვითარებადი ორგანიზაცია და მუდმივ რეჟიმში უწევს დააკმაყოფილოს ახალი საკონონმდებლო მოთხოვნები, შეიძინოს ახალი მოხმარებლები, იყოს კონკურენტუნარიანი, დააკმაყოფილოს ახალი მოთხოვნები, რომელსაც იღებს მარეგულირებლის, საქართველოს ეროვნული ბანკისგან.

2025 წელს კომპანია გეგმავს ახალი პროექტების განხორციელებას, რომელიც კომპანიის სერვისებს კიდევ უფორ მოთხოვნადს და კონკურენტუნარიანს გახდის.

კომპანია ფასტფის ბაზარზე არსებობა 6 წელზე მეტს ითვლის და ამ პერიოდში მრავალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა, ეს შეეხებოდა როგორც კანონმდებლობის ცვლილებას ასევე ტექნიკურ მხარდაჭერას, ამ უკანასკნელის განვითარება კი უწყვეტი პროცესია და მთლიანად განსაზღვრავს კომპანიის მომავალ წარმატებას, სწორედ ამიტომ 2024 წელს ტექნიკური საკითხების მოგვარების პროცესი მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა სტრატეგიული საკითხების სიაში და ამის შედეგია ის რომ 2024 წლიდან კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს ახალ პროდუქტს, კერძოდ კომუნალური და სხვადასხვა სერვისების მომსახურების გადახდას.

საქართველოს საგადახდო სისტემა არის ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი. მისი მეშვეობით ხორციელდება ფინანსური ანგარიშსწორება სწრაფად, უსაფრთხოდ და საიმედოდ, რაც ფინანსური და ფულადი ბაზრების შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირების ერთ-ერთი წინაპირობაა და ხელს უწყობს მთლიანად ეკონომიკის სტაბილურობასა და ეფექტურობას.¹ სტატისტიკური მონაცემებით, 2024 წელს დარეგისტრირდა 3 საგადახდო პროვაიდერი და ჯამში 34 შეადგინა.²

წინა წელთან შედარებით, ქართული საბარათო ინსტრუმენტებით ქვეყნის შიგნით განხორციელებული ოპერაციათა რაოდენობა 22.2 %-ით გაიზარდა, ხოლო მოცულობის ზრდამ 17.7 % შეადგინა, ასევე უნდა აღინიშნოს რომ მიმოქცევაში არსებული სადებეტო ბარათების რაოდენობა გაზრდილია 11.5 %-ით. უმნიშვნელო ზრდაა ბანკომატების ოპერაციათა რაოდენობის მხრივ, რამაც 2.2 % შეადგინა, ხოლო მოცულობა გაიზარდა 12.3 %-ით, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს რომ მნიშვნელოვნად გაზრდილია პოს-ტერმინალებით და ინტერნეტით განხორციელებული ოპერაციათა რაოდენობა და მოცულობა რამაც შესაბამისად 25.1 % და 26.3 % შეადგინა³. აღნიშნული მიუთითებს რომ ქვეყნის შიგნით უფრო და უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს უნაღდო გადახდის სისტემა, ეს კი თავის მხრივ ნიშნავს რომ იზრდება ნდობა ქვეყნის საგადახდო სისტემისადმი.

საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ განხორციელებული გადახდის ოპერაციების შესახებ ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ელექტრონული ფულით განხორციელებული ტრანზაქციების რაოდენობა 23.7%-ით შემცირდა, ხოლო მოცულობა კი 19.9 %-ით, გარდა ელ.ფულით წარმოებული ტრანზაქციების რაოდენობა კი 12.9 %-ით შემცირდა მაშინ როცა მოცულობა 1.4 %-ით გაიზარდა. კომპანია

¹ <https://nbg.gov.ge/page/საგადახდო-სისტემები>

² <https://nbg.gov.ge/payment-system/providers>

³ წყარო საქართველოს ეროვნული ბანკი

ფასტფეის სტატისტიკური მონაცემები კი ასეთია: ელექტრონული ფულით შესრულებული ტრანზაქციათა რაოდენობა შემცირდა 11.8 %-ით ხოლო მოცულობა კი 18.0 %-ით, ამ მაჩვენებლებით ჩანს რომ კომპანიის რეალური მაჩვენებლების შემცირება დაკავშირებულია საბაზრო პროცესებთან.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ პლასტიკური ბარათებით თანხის განაღდების რაოდენობა წინა წელთან შედარებით შემცირდა 17.9 %-ით და შეადგინა 677 ათასი, 2023 წელს ეს რიცხვი 825 ათასს აღწევდა, ხოლო ბარათებით განაღდების მოცულობა წინა წლის 119.5 მილიონიან მაჩვენებელთან შედარებით შემცირდა 11.5%-ით და შეადგინა 105.8 მილიონი ლარი, რაც საერთო განაღდების რაოდენობის 90,1 %-ია, ეს მაჩვენებელი 0,5 %-ით გაზრდილია წინა წლის მონაცემებთან შედარებით, ეს უმნიშვნელო ცვლილება გამოწვეულია 2023-24 წლების მეტ-ნაკლებად სტაბილური განვითარებით.

გარდა ამის მონაცემების კლებადი დინამიკა მეტ წილად განპირობებულია კონტრაქტორისთვის 2023-2024 წლებში დაწესებული შეზღუდვებით, ამან კი თავის მხრივ გამოიწვია მომხმარებლების რაოდენობის შემცირება და შესაბამისად კომპანიის აქტიური მომხმარებლების რაოდენობის შემცირებაც. 2024 წელს დარეგისტრირდა 6 550 ახალი მომხმარებელი, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 24.4 %-ით გაუმჯობესებული მაჩვენებელია, ხოლო აქტიური მომხმარებლების⁴ რაოდენობა 9.7 %-ით შემცირდა და 28 023 შეადგინა, რაც მთლიანი რაოდენობის 18.0 %-ია.

საღაროებში ფულადი სახსრების ბრუნვის მოცულობამ 2024 წელს შეადგინა 10.5 მილიონი ლარი, რაც 2023 წელთან შედარებით 15,2 %-ით ნაკლებია, თუმცა აქ გასათვალისწინებელია ის რომ საღაროების რაოდენობა 2023-2024 წლებში 19-დან 16-მდე შემცირდა, რაც განპირობებული იყო არარენტაბელური საღაროების დახურვით.

2024 წელს კომპანიის საოპერაციო შემოსავალი წინა წელთან შედარებით 6%-ით გაიზარდა და შეადგინა 4,3 მილიონი ლარი, ხოლო ჩვენი EBITDA წინა წელთან შედარებით გაიზარდა 7.4 %-ით და შეადგინა 1 368 ათასი ლარი, რაც გამოწვეულია შემოსავლების 9.56 %-ანი და ხარჯების 0.5 %-ანი ზრდით. ეს კი თავის მხრივ გამოწვეულია მომსახურების საკომისიოს ცვლილებით, რაც გულისხმობს დებიტორებისთვის პროგრესული მეთოდის შეთავაზებას, კერძოდ მეტი ტრანზაქციების მოცულობა - ნაკლები საკომისიო გადასახდელი, ეს კი სტიმულია მომსახურების მიმღები კომპანიებისთვის, გაზარდონ ფასტფეის მეშვეობით ბრუნვა, რომ მიიღონ საკომისიო შეღავათი და გადაიხადონ ნაკლები.

საკანონმდებლო ცვლილებების ნეგატიური შედეგების მინიმიზაციისთვის 2025 წელს ფასტფეი მიზნად ისახავს პროდუქტების დივერსიფიკაციას, რაც მეტწილად დაკავშირებულია პროგრამულ უზრუნველყოფასთან. შედეგად მმართველმა გუნდმა ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტთან ერთად მიზნად დაისახა ერთი მხრივ რეგულაციების შესრულება და კანონთან შესაბამისობაში მოყვანა, მეორე მხრივ ახალი პროდუქტების შეთავაზება.

2. კომპანიის განვითარების გეგმები

ფასტფეის სტრატეგიაა, გაუწიოს სწრაფი და ხარისხიანი მომსახურება თავის მომხმარებლებს, შესთავაზოს მათ გაუმჯობესებული პროდუქტები, შეუქმნას მაქსიმალური კომფორტი, გადახდის განხორციელების და მიღების კუთხით. ამ ეტაპისთვის ფასტფეი ბაზარზე წარმოდგენილია იმ პროდუქტებით რომელთაც საკუთარი კონტრიბუცია შეაქვს მომხმარებელთა ცხოვრების გამარტივებაში.

პლასტიკური ბარათებით განხორციელებული ტრანზაქციები - წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის უმსხვილეს მიმართულებას, რომელიც კლიენტებს საშუალებას აძლევს გაანაღდონ და გადაიხადონ მათთვის სასურველი სერვისი (ტოტალიზატორი/კაზინოები, სავაჭრო ობიექტები და ა.შ.). აღნიშნული

⁴ აქტიური მომხმარებელი - მომხმარებელ რომელმაც წლის განმავლობაში ერთხელმინც განახორციელ ტრანზაქცია;

სერვისების მიღება შესაძლებელია ქვეყნის მასშტაბით არსებულ საქართველოს, თიბისისა და ლიბერთის ბანკომატების და საქართველოსა და თიბისის ბანკების პოს ტერმინალების მეშვეობით. კომპანია მიზნად ისახავს მაქსიმალურად გააუმჯობესოს და მინიმუმამდე შეამციროს განაღდების პროცესში არსებული ხარვეზები და პროცესი გახადოს მაქსიმალურად ინტუიციური, ასევე პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში მყისიერად მოახდინოს მათზე რეაგირება, მომხმარებლების ინტერესის მაქსიმალური გათვალისწინებით.

2025 წლისთვის დაგეგმილი ცვლილებები გულისხმობს ახალი სერვისების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას მომხმარებლებისთვის, კერძოდ მომხმარებლები აქტიურად შეძლებენ კომუნალურებისა და სხვადასხვა გადახდების განხორციელებას, ასევე ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული სქემის შესაბამისად იგეგმება ვირტუალური აქტივების ბაზრის ათვისებაც.

3. ინფორმაცია კომპანიის სერვის-ცენტრების საქმიანობის შესახებ

კომპანია ფასტფეი 2023 წლიდან ფლობს 19 სერვის-ცენტრს, ხოლო 2024 წელს კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება 3 არარენტაბელური ფილიალის დახურვის შესახებ, რამაც ფილიალებზე გაწეული ხარჯები წინა წელთან შედარებით კიდევ უფრო შეამცირა.

4. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

წმინდა მოგება		საოპერაციო შემოსავალი		უზუბა საშუალო კაპიტალი ¹	
ზრდა	41.2 %	ზრდა	6.5 %	ზრდა	0.62 PP
2024	1 136 456	2024	4 343 579	2024	1.83
2023	804 850	2023	4 080 289	2023	1.21
ლკვიდრობის კოეფიციენტი ²		ხარჯების შემოსავალთან თანაფარდობა ³		რენტაბელუბა (მომგებიანობა)	
ზრდა	0.03 PP	კლუბა	0.05 PP	ზრდა	0.02 PP
2024	1.09	2024	0.61	2024	1.13
2023	1.06	2023	0.66	2023	1.11

საოპერაციო მაჩვენებლები

სერვის-ცენტრები		კადრების რაოდენობა		თანხის განაღდების საერთო მოცულობა		თანხის მიღება საღროს მეშვეობით	
2024	16	2024	59	2024	116.2 მლნ	2024	131.3 ათასი
2023	19	2023	61	2023	131.8 მლნ	2023	114.1 ათასი

5. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

შპს „ფასტფეიმ“ 2023 წლიდან აქტიურად სწავლობს და იკვლევს ბაზარს, სადაც უკვე 6 წელზე მეტია ოპერირებს. კომპანია ცდილობს მომხმარებლებს შესთავაზოს ის ახალი პროდუქტები რასაც საქართველოს განვითარებადი ფინანსური სისტემა ითვს საერთაშორისო ბაზრებიდან. ერთ-ერთი ასეთია ვირტუალური აქტივით ვაჭრობა, რაც ძალიან პოპულარულია ბოლო წლებში არა მხოლოდ მსოფლიოში, არამედ საქართველოშიც. კომპანიას უკვე აქვს შეთანხმებული სქემა მარეგულირებელ ეროვნულ ბანკთან და უახლოეს მომავალში ამ სერვისსაც შესთავაზებს თავის მომხმარებლებს.

6. მმართველობა

შპს „ფასტფეიმში“ უმაღლესი გადაწყვეტილების მიმღები ორგანო არის პარტნიორთა კრება, რომელიც დაკომპლექტებულია დამფუძნებლების მიერ. კომპანიის დირექტორი ყოველკვარტლურად აორგანიზებს პარტნიორთა კრებას, სადაც ხდება სტრატეგიული გადაწყვეტილებების განხილვა და მიღება. პარტნიორთა კრება შეიძლება ჩატარდეს უფრო ხშირად თუ ამის საჭიროება არსებობს.

7. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანიას არ აქვს შეძენილი ან გასხვისებული აქციები.

8. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

შპს ფასტფეის ფინანსური შედეგები მომზადებულია მცირე და საშუალო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

	2024	2023	ცვლილება
უკუგება კაპიტალზე	1.83	1.21	0.62
ლიკვიდურობა	1.09	1.06	0.03
ხარჯი/შემოსავალთან თანაფარდობა	0.61	0.66	-0.05
რენტაბელობა (მომგებიანობა)	1.13	1.11	0.02

კოეფიციენტების განსაზღვრება მოცემულია 7-ე გვერდზე.

მომგებიანობა

შპს „ფასტფეიმ“-ის მომგებიანობის ზრდა გამოწვეულია 2024 წლის შემოსავლების 6.5 %-იანი ზრდით და ხარჯების 0.9 %-იანი შემცირებით. შემოსავლების ზრდა დაკავშირებულია საკომისიოს ზრდასთან, ხოლო ხარჯების შემცირება რაციონალურ სახარჯო პოლიტიკასთან, რომლის მიხედვით დაიხურა არარელევანტური ფილიალები.

ლ'000	2024	2023	ცვლილება
წმინდა მოგება	1 136	804	41.2 %

წმინდა საკომისიოშემოსავალი

კომპანიის წმინდა საკომისიო შემოსავალმა 2024 წელს შეადგინა 3,4 მლნ. ლარი, რაც წინა წლის მონაცემს აღემატება 10.3 %-ით საკომისიო შემოსავლების ზრდა დაკავშირებულია მომსახურების ანაზღაურების ცვლილებასთან, რომელიც ძალში შევიდა 01.04.2024-დან და ამ შეთანხმების საფუძველზე მომსახურების მიმღები კომპანია უფრო ნაკლებს გადაიხდის რაც უფრო მეტა მისი ბრუნვა.

ლ'000	2024	2023	ცვლილება
საკომისიო შემოსავალი	4 240	4 018	5.5 %
საკომისიო ხარჯი	-829	-925	-10.4%
წმინდა საკომისიო შემოსავალი	3 411	3 093	10.3 %

სხვა საოპერაციო შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავლები 2024 წლისთვის შეადგენდა 103.7 ათას ლარს, რაც 2023 წელთან შედარებით 65.9 %-ით გაზრდილია. თუმცა აქ ზრდის ძირითადი მიზეზი არის 2024 წელს გაზრდილი მოთხოვნა საგადახდო ბარათებზე დამკვეთის მხრიდან, რაც მომავალში გამოყენებული იქნება სხვა და სხვა შეთავაზებებისთვის/სააქციო მომსახურებებისთვის. აქვე გასათვალისწინებელია 2024 წლის საპროცენტო შემოსავალი, რაც ბანკში მოთხოვნამდე ანაზღაურების სახით განთავსდა დეპოზიტზე 09.06.2022-დან და მიმდინარე წელს დარიცხულმა საპროცენტო შემოსავალმა 325 ათასი ლარი შეადგინა, რაც დაახლოებით 79.4 %-ით მეტია წინა წლის მონაცემებთან შედარებით.

ლ'000	2024	2023	ცვლილება
საკომისიო შემოსავალი	4 239.9	4 017.8	5.53 %
სხვა საოპერაციო შემოსავალი	103.7	62.5	65.9 %
სულ საოპერაციო შემოსავალი	4 343.6	4 080.3	6.45 %

საოპერაციო ხარჯები

2024 წელს მთლიანმა საოპერაციო ხარჯებმა შეადგინა 2.660 ათასი ლარი, რაც 2023 წელთან შედარებით 0.9 %-ით ნაკლებია. კლების ეს უმნიშვნელო მაჩვენებელი დაკავშირებულია ერთი მხრივ ფილიალების დახურვით მიღებულ ეფექტთან და მეორე მხრივ კი სახელფასე ბიუჯეტის ზრდით. საიჯარო ქირის ხარჯი 9.1 %-ით, ბანკის ხარჯი 13.2 %-ით, დაცვის ხარჯი 15.5 %-ით შემცირდა, ეს ყველა კი ფილიალების დახურვით არის გამოწვეული, ხოლო პირდაპირი სახელფასე ბიუჯეტი 14.5%-ით გაიზარდა. ასევე საყურადღებოა საპროცენტო ხარჯების შემცირება 11 %-ით, რაც ტრანზაქციების რაოდენობის შემცირების პირდაპირპროპორციულია.

კომპანიის მთლიანი საოპერაციო ხარჯი/საოპერაციო შემოსავალთან 2024 წელს შეადგინა 0,61-ს, რაც გაზრდილია 6.9 %-ით წინა წლის იმავე მაჩვენებელთან შედარებით.

ლ'000	2024	2023	ცვლილება
-------	------	------	----------

საოპერაციო ხარჯები	2 659.8	2 684.4	-0.9 %
სხვა პირდაპირი დანახარჯი	228.7	264.2	-13.4 %
გაცემული ბარათების ხარჯი	77.6	40.8	90.5 %
შრომის ანაზღაურება	1 018.0	889.2	14.5 %
კომერციული ბანკების მომსახურების საკომისიო	828.8	924.9	-10.4 %
დაცვის ხარჯი	48.5	57.8	-15.5 %
ბანკის ხარჯი	75.6	87.1	-13.2 %
საიჯარო ქირა	382.2	420.5	-9.1 %
საოპერაციო შემოსავალი	4 343.6	4 080.3	11,15%
საოპერაციო ხარჯები/საოპერაციო შემოსავალთან	0.61	0.66	-6.9 %

სხვა არასაოპერაციოშემოსავალ/ხარჯი

კომპანიაში სხვა არასაოპერაციო ხარჯები და სხვა არასაოპერაციო შემოსავალი გაიზარდა წინა წლის მონაცემებთან შედარებით, ეს გამოიწვია საღაროების შემცერაბამ, მოძველებული ტექნიკის ჩამოწერამ და ასევე მიღებულმა ჯარიმამ, რომელიც კომპანიის მარეგულირებლისგან ეროვნული ბანკისგან იქნა მიღებული 2024 წლის აგვისტოში, მიღებული შენიშვნები და რეკომენდაციები გათვალისწინებულია და გამოსწორდა წლის ბოლომდე.

ფინანსური მაჩვენებლების განსაზღვრება:

1. უკუგება კაპიტალზე უდრის წმინდა მოგებას, შეფარდებული იმავე პერიოდის მფლობელის კუთვნილი კაპიტალის საშუალო მაჩვენებელზე.
2. ლიკვიდურობის კოეფიციენტი გვიჩვენებს რამდენად კარგად ხვდება კომპანია მის მოკლევადიან ვალდებულებებს და ის უდრის მიმდინარე აქტივები შეფარდებული იმავე პერიოდის მიმდინარე ვალდებულებებთან.
3. ხარჯი/შემოსავალთან უდრის პერიოდის მთლიან საოპერაციო ხარჯებს, შეფარდებულს იმავე პერიოდისმთლიან საოპერაციო შემოსავლებთან.
4. რენტაბელობა (მომგებიანობა) უდრის მოგება დაბეგვრამდე შეფარდებული საერთო მოგებასთან.

9. ძირითადი რისკები

„ფასტფეის“ სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია რისკების მართვა. კომპანიის ბიზნეს პროფილიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია რისკების დროულად იდენტიფიცირება და ეფექტურად მართვა. 2019 წლიდან კომპანიაში არსებობს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ერთეული (AML), რომელიც არ არის ჩართული კომპანიის საოპერაციო საქმიანობაში, ახდენს სხვადასხვა პროცესების ეფექტურობის დამოუკიდებელ შემოწმებას და თავის მხრივ წარმოადგენს რისკების შემცირების ძირითად ხაზს.

ქვემოთ ჩამოთვლილია „ფასტფეის“ ის ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საქმიანობის შედეგებზე.

1. სამართლებრივი რისკი

შპს „ფასტფეი“, როგორც ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერის, საქმიანობა რეგულირდება საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით, მათ შორის, საზედამხედველო ორგანოს მიერ შემუშავებული და დამტკიცებული ნორმატიული აქტებით.

ეროვნული ბანკის მიზანია ელექტრონული გადახდების უსაფრთხოების გაზრდა, მომხმარებლების მეტად დაცვა, ინოვაციების ხელშეწყობა და კონკურენტუნარიანი გარემოს წახალისება. სწორედ ამიტომ ეროვნული ბანკი მუდმივად ახორციელებს ცვლილებებს მოქმედ კანონმდებლობაში. საგადახდო სისტემები, საგადახდო არხები, საგადახდო ინსტრუმენტები, საგადახდო მომსახურების პროვაიდერები, საგადახდო სისტემის ოპერატორები, ფინტექ კომპანიები და მომხმარებლები ქმნიან საქართველოს გადახდების ეკოსისტემას, რომელიც მუშაობს საერთო წესებისა და სტანდარტული პროცედურების მიხედვით და უზრუნველყოფს ეკონომიკაში ფულადი სახსრების მიმოქცევას.⁵

„საგადახდო მომსახურების პროვაიდერების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის შესახებ წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 01 მაისის ბრძანება №77/04-ის თანახმად, კომპანია ფასტფეიმ დააკმაყოფილა მნიშვნელოვანი პროვაიდერის სტატუსის მოთხოვნები და დაევალა მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის წესის დაცვა. გარდა ამისა ამავე კანონის მიხედვით, 2024 წლის 1 იანვრიდან მნიშვნელოვანი საგადახდო პროვაიდერი ვალდებულია ყოველწლიურად მოიწვიოს გარე აუდიტორი აუდიტორული შემოწმების ჩასატარებლად და ყოველი კალენდარული წლის დასრულებიდან მომდევნო წლის 15 ივლისამდე საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს გასული წლის წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ დამტკიცებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (IFRS) მიხედვით და რომლის აუდიტიც განხორციელდა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის საერთაშორისო აღრიცხვისა და მარწმუნებელი სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ (ISA) შესაბამისად.

რისკის აღწერა

საზედამხედველო ორგანოს მხრიდან განსაზღვრული ახალი მოთხოვნების შეუსრულებლობა ან არაზუსტად შესრულება შესაძლებელია გახდეს ჯარიმის დაკისრების, ზოგიერთ შემთხვევაში კი ლიცენზიის გაუქმების საფუძველი. ამასთან, არსებულ მოთხოვნებთან შეუსაბამობამ შესაძლებელია გამოიწვიოს როგორც ფინანსური, ასევე საოპერაციო და რეპუტაციული რისკი.

რისკის მიტიგაცია

კომპანიის მიერ მასზე გავრცელებული საკანონმდებლო მოთხოვნების სრულყოფილად შესრულების მიზნით, კომპანიის იურიდიული და AML-CFT დეპარტამენტი განყოფილება იღებს ზომებს, რათა შეძლებისდაგვარად მაღალი საიმედოობით უზრუნველყოფილი იქნეს სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული წესების, პროცედურებისა და ხელშეკრულებების აღსრულება.

2. საოპერაციო რისკები აღწერა

საოპერაციო რისკების მიმართულებით საყურადღებოა შიდა და გარე თაღლითობა. გარე თაღლითობის რისკის ფორმა კანონსაწინააღმდეგო ქმედება მომხმარებლების მხრიდან, შიდა თაღლითობა კი შეიძლება დადგეს კომპანიის თანამშრომლების მიერ განხორციელებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისგან.

საოპერაციო რისკების მნიშვნელოვანი ნაწილია ტექნოლოგიური ინციდენტები, რომელმაც თავის მხრივ, შესაძლოა გამოიწვიოს ბიზნეს უწყვეტობის რისკი. ამასთან საყურადღებოა საოპერაციო პროცესების სისუსტეებთან დაკავშირებული რისკები.

⁵ <https://nbg.gov.ge/page/საქართველოს-გადახდების-ეკოსისტემა>

რისკის მიტიგაცია

ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდება ქმედითი ნაბიჯები, საოპერაციო რისკის იდენტიფიცირების, მონიტორინგისა და მართვის მიზნით, კომპანიას შექმნილი აქვს შესაბამისი სისტემა, პოლიტიკა-პროცედურები და კონტროლის მექანიზმი. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების დეპარტამენტის ყოველდღიურ დაკვირვებას ახდენს მიმდინარე პროცესებზე, ასევე მონიტორინგის სამსახური ახორციელებს მონიტორინგს თანამშრომელთა საქმიანობაზე, რაც მიზნად ისახავს ინციდენტების იდენტიფიცირებას და აღმოფხვრას.

3. ლიკვიდობის რისკის აღწერა

ლიკვიდობის რისკი არის რისკი, როდესაც კომპანიას ექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლებელია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

რისკის მიტიგაცია

ლიკვიდობის რისკის გასაწესრიგებლად ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს მომავალ ფულად ნაკადებს. ასევე ფინანსური ერთეულის მიერ მუდმივად კონტროლდება ფულადი ნაშთები სერვის-ცენტრებსა და საბანკო ანგარიშებზე, რათა დროულად მოხდეს ფულადი სახსრების მობილიზაცია. ფინანსური დეპარტამენტი ყოველი კვარტალის დასრულებისას ხელმძღვანელ პირებს წარუდგენს ფინანსურ ანგარიშგებას, რომლის მიზანია კომპანიის რისკების შეფასება და მომდევნო კვარტალის დაგეგმვა.

4. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი გულისხმობს, რომ გარიგების მეორე მხარე, მათ შორის, სისტემის მონაწილე ან სხვა პირი, ვერ შეძლებს სრულად შეასრულოს თავისი ფინანსური ვალდებულებები მათი შესრულების ვადის დადგომისას და ვერც მომავალში ნებისმიერ დროს;

რისკის აღწერა

კომპანიას საკრედიტო რისკი წარმოექმნება სავაჭრო მოთხოვნების და ფულისა და ფულის ეკვივალენტების შემთხვევაში (ფული და ფულის ეკვივალენტების შემთხვევაში ლიკვიდურობის გამო საკრედიტო რისკი არაარსებობს). საკრედიტო რისკის (ზემოქმედების) გაზომვისთვის და მონიტორინგისთვის ხორციელდება დღის განმავლობაში, დროული ინფორმაციისა და რისკის მართვის შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენება.

რისკის მიტიგაცია

კომპანიას შემუშავებული აქვს საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც იგი აფასებს კონტრაქტორების კრედიტუნარიანობას ინდივიდუალურად, სანამ იგი შესთავაზებს მომსახურების მიწოდებას. მომხმარებელთან კრედიტუნარიონობის ანალიზის დროს მაღალი რისკის მქონე მომხმარებლებს მომსახურება მიეწოდებათ ავანსის პირობით.

5. სავალუტო რისკის აღწერა

კომპანიის წინაშე დგას სავალუტო რისკი, რომელიც არის კურსის ცვლილებით გამოწვეული. შესაძლებელია სხვადასხვა ვალუტით მიღებული მომსახურებისთვის გადახდების განხორციელება, რაც წარმოშობს ზემოთაღნიშნულ რისკს.

რისკის მიტიგაცია

ამ ეტაპზე კომპანია არ ახდენს რისკისგან თავის დაზღვევას დაბალი სავალუტო რისკის არსებობის გამო.

6. გარემო ფაქტორებთან დაკავშირებული რისკის აღწერა

კომპანიის საქმიანობაზე გავლენას ახდენს გარემო ფაქტორები, რომლებიც შესაძლოა წარმოქმნიდეს რისკებს. საყურადღებოა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა - გაზრდილია ინფლაციის მაჩვენებელი, მნიშვნელოვანი ცვლილებები მიმდინარეობს საკანონმდებლო მიმართულებით, გასათვალისწინებელია პოლიტიკური არასტაბილურობა, რომელიც ბიზნეს პროცესებზე პირდაპირ გავლენას ახდენს.

რისკის მიტიგაცია

კომპანია მუდმივად ცდილობს გარემო ფაქტორების გათვალისწინებით აწარმოოს ბიზნეს საქმიანობა, კონტრაქტორ კლიენტებსა და მომხმარებლებს შესთავაზოს მათთვის ხელსაყრელი პროდუქტებითა და სერვისებით მომსახურება; ამასთან, კომპანიის მიზანია საოპერაციო საქმიანობა მუდმივად პასუხობდეს გარემო ფაქტორებით წარმოქმნილ გამოწვევებს.

მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 26 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

მარიტა კაჭახიძე

მთავარი ბუღალტერი

მერი საკანდელიძე

შპს ფასტფეი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ფასტფეი“-ს („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის („მსს ფასს“) შესაბამისად.


ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევისა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიკური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 26 თებერვალს.


მარიტა კაკაბაძე
დირექტორი

2025 წლის 26 თებერვალი
საქართველო, თბილისი




მერი საკანდელიძე
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 26 თებერვალი
საქართველო, თბილისი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს ფასტფეი-ს მფლობელებსა და დირექტორებს:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ფასტფეი-ს (კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ არსებითი ინფორმაციის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ამ ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან, ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმუნებულება, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით ან/და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, გავცეთ ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი აუდიტორული დასკვნა. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავედროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის. რისკი იმისა, რომ ვერ აღმოვაჩინოთ თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა მეტია, ვიდრე ალბათობა იმისა, რომ ვერ შევამჩნიოთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით.
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას.
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას.

ვაკეთებთ დასკვნას იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება. იმავედროულად, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვეველობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს, თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარსს განმარტებების ჩათვლით და იმას, თუ რამდენად ობიექტურად წარმოადგენს ანგარიშგება ძირითად მოვლენებსა და ტრანზაქციებს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

შპს მართვის საკონსულტაციო ჯგუფი

ვლადიმერ ჩიტაია

2025 წლის 26 თებერვალი
თბილისი, საქართველო




შპს ფასტფეი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	187,070	273,557
არამატერიალური აქტივები	6	50,093	59,931
სულ გრძელვადიანი აქტივები		237,163	333,488
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		1,081	1,403
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		5,898	4,746
წინასწარ გადახდილი გადასახადები		8,942	7,683
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	4,572,084	5,834,212
სულ მიმდინარე აქტივები		4,588,005	5,848,044
სულ აქტივები		4,825,168	6,181,532
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8	130,836	130,836
გაუნაწილებელი მოგება		489,030	533,745
სულ კაპიტალი		619,866	664,581
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	408,104	685,796
მიღებული ავანსები	10	3,797,198	4,831,155
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,205,302	5,516,951
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,825,168	6,181,532

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 26 თებერვალს.


მარიტა კაკაჩიძე
დირექტორი

2025 წლის 26 თებერვალი
საქართველო, თბილისი




გიორგი საკანდელიძე
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 26 თებერვალი
საქართველო, თბილისი

9-26 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ფასტფეი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	11	4,343,579	4,080,289
პირდაპირი ხარჯები	12	(2,659,802)	(2,684,383)
მთლიანი მოგება		1,683,777	1,395,906
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(670,309)	(684,289)
საპროცენტო შემოსავალი		325,295	181,319
სხვა არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა		(57,625)	(2,648)
მოგება მოგების გადასახადამდე		1,281,138	890,288
მოგების გადასახადის ხარჯი		(144,682)	(85,438)
წლიური მოგება		1,136,456	804,850
წლიური სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული მოგება		1,136,456	804,850

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 26 თებერვალს.


მარიტა კაკაბაძე
დირექტორი

2025 წლის 26 თებერვალი
საქართველო, თბილისი




მერი საკანდელიძე
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 26 თებერვალი
საქართველო, თბილისი

9-26 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ფასტფაი

კაპიტალის ცვლილების ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ბალანსი 1 იანვარი 2023		130,836	328,955	459,791
სულ წლის სრული შემოსავალი		-	804,850	804,850
გადახდილი დივიდენდი		-	(600,060)	(600,060)
ბალანსი 31 დეკემბერი 2023		130,836	533,745	664,581
სულ წლის სრული შემოსავალი		-	1,136,456	1,136,456
გადახდილი დივიდენდი		-	(1,181,171)	(1,181,171)
ბალანსი 31 დეკემბერი 2024		130,836	489,030	619,866

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 26 თებერვალს.


მარიტა კაკაბაძე
დირექტორი

2025 წლის 26 თებერვალი
საქართველო, თბილისი




მერი კაკაბაძე
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 26 თებერვალი
საქართველო, თბილისი


9-26 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ფასტფეი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შენიშვნა	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება მოგების გადასახადებამდე	1,136,456	804,850
შემდეგი პუნქტებით გამოწვეული კორექტირებები:		
მოგების გადასახადის ხარჯი	144,682	85,438
ცვეთა და ამორტიზაცია	86,804	93,471
5, 6		
მიერთადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ზარალი	10,587	4,705
საპროცენტო შემოსავალი	(325,295)	(181,319)
ფულადი სახსრები გამომუშავებული საოპერაციო საქმიანობაში საბრუნავ		
კაპიტალში ცვლილებებამდე	1,053,234	807,145
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	(2,089)	18,211
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა	(1,311,649)	1,790,887
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	(260,504)	2,616,243
მიღებული პროცენტი	325,295	181,319
გადახდილი მოგების გადასახადი	(144,682)	(85,439)
წმინდა ფულადი სახსრები (გამოყენებული)/გამომუშავებული		
საოპერაციო საქმიანობიდან	(79,891)	2,712,123
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
მიერთადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	650	1,570
მიერთადი საშუალებების შეძენაზე გადახდილი თანხები	(1,066)	(45,571)
არამატერიალური აქტივების შეძენაზე გადახდილი თანხები	(650)	(602)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობაში	(1,066)	(44,603)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
დივიდენდის გადახდა	(1,181,171)	(600,060)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1,181,171)	(600,060)
წმინდა (შემცირება)/ზრდა ფულსა და ფულად ეკვივალენტებში	(1,262,128)	2,067,460
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	7	5,834,212
3,766,753		
სავალუტო კურსის ცვლილებების ზეგავლენა ფულზე და ფულად ეკვივალენტებზე	-	(1)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	7	4,572,084
5,834,212		

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 26 თებერვალს.


მარიტა კაკაბაძე
დირექტორი

2025 წლის 26 თებერვალი
საქართველო, თბილისი




მერი საკანდელიძე
მთავარი ბუღალტერი

2025 წლის 26 თებერვალი
საქართველო, თბილისი

9-26 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს ფასტფეის მმართველობითი ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს ფასტფეის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს ფასტფეის მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მესამე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს ფასტფეი. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობითი ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობითი ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობითი ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

სფაი ჯორჯია

ვლადიმერ ჩიტაია

მმართველი პარტნიორი

26 თებერვალი 2025 წელი, თბილისი, საქართველო



5. სავალუტო რისკის აღწერა

კომპანიის წინაშე დგას სავალუტო რისკი, რომელიც არის კურსის ცვლილებით გამოწვეული. შესაძლებელია სხვადასხვა ვალუტით მიღებული მომსახურებისთვის გადახდების განხორციელება, რაც წარმოშობს ზემოთაღნიშნულ რისკს.

რისკის მიტიგაცია

ამ ეტაპზე კომპანია არ ახდენს რისკისგან თავის დაზღვევას დაბალი სავალუტო რისკის არსებობის გამო.

6. გარემო ფაქტორებთან დაკავშირებული რისკის აღწერა

კომპანიის საქმიანობაზე გავლენას ახდენს გარემო ფაქტორები, რომლებიც შესაძლოა წარმოქმნიდეს რისკებს. საყურადღებოა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა - გაზრდილია ინფლაციის მაჩვენებელი, მნიშვნელოვანი ცვლილებები მიმდინარეობს საკანონმდებლო მიმართულებით, გასათვალისწინებელია პოლიტიკური არასტაბილურობა, რომელიც ბიზნეს პროცესებზე პირდაპირ გავლენას ახდენს.

რისკის მიტიგაცია

კომპანია მუდმივად ცდილობს გარემო ფაქტორების გათვალისწინებით აწარმოოს ბიზნეს საქმიანობა, კონტრაქტორ კლიენტებსა და მომხმარებლებს შესთავაზოს მათთვის ხელსაყრელი პროდუქტებითა და სერვისებით მომსახურება; ამასთან, კომპანიის მიზანია საოპერაციო საქმიანობა მუდმივად პასუხობდეს გარემო ფაქტორებით წარმოქმნილ გამოწვევებს.

მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 26 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

მ. კახიძე

მარიტა კაჭახიძე

მთავარი ბუღალტერი

მ. სოსელია

მერი საკანდელიძე

